

საბროკერო კომპანია “რიონი კაპიტალის”
დეკლარაცია
ფინანსურ ბაზარზე ინვესტირებასთან დაკავშირებული
რისკების შესახებ

წინამდებარე დეკლარაცია ფინანსურ ბაზარზე ინვესტირებასთან დაკავშირებული რისკების შესახებ (შემდგომში – დეკლარაცია) წარმოადგენს საბროკერო კომპანია „რიონი კაპიტალის“ (შემდგომში – კომპანია) კლიენტების მომსახურების რეგლამენტის (შემდგომში – „რეგლამენტი“) დანართს და მის განუყოფელ ნაწილს.

1. წინამდებარე დეკლარაციის მიზანია, საბროკერო მომსახურების მიწოდების შესახებ ხელშეკრულების (შემდგომში – ხელშეკრულება) ფარგლებში კლიენტისთვის კომპანიის მიერ მომსახურების გაწევისას, კლიენტს მიაწოდოს ინფორმაცია ფინანსურ ბაზრებზე ტრანზაქციის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკების შესახებ და გააფრთხილოს ფინანსურ ბაზრებზე ტრანზაქციის განხორციელებისას შესაძლო დანაკარგის შესახებ.
2. კლიენტი აცნობიერებს, რომ ფინანსური ბაზრის ინსტრუმენტებში ინვესტიცია მოიცავს გარკვეულ რისკებს, რომელზე პასუხისმგებლობაც არ შეიძლება დაეკისროს ბროკერს, რამდენადაც ამგვარი რისკები სცილდება მხარეთა გონივრულ კონტროლს და მათი შესაძლებლობა, განჭვრიტონ და თავიდან აიცილონ ასეთი რისკების შედეგები, შეზღუდულია. ეს რისკები, სხვა საკითხებთან ერთად, დაკავშირებულია მსოფლიოში პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარების არასტაბილურობასა და საქართველოს საკანონმდებლო ბაზის არასრულყოფილებასთან. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კლიენტმა დამოუკიდებლად უნდა შეაფასოს თავისი ინვესტიციების განხორციელების შესაძლებლობა, ხოლო ბროკერი ყველა ღონეს გამოიყენებს, რათა დაეხმაროს კლიენტს შესაძლო რისკების შემცირებაში ამ უკანასკნელის მიერ თანხების ინვესტირებისას, საბროკერო მომსახურების მიწოდების შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში.
3. ქვემოთ მოცემულია რისკების სპეციფიკური ტიპები, რომელთა ჩამონათვალი არ არის ამომწურავი, მაგრამ საშუალებას აძლევს კლიენტს, ზოგადი წარმოდგენა ჰქონდეს იმ ძირითადი რისკების შესახებ, რომლებსაც შეიძლება წააწყდეს ფინანსური ბაზრის ინსტრუმენტებში ინვესტირებისას.
4. დეკლარაციის მიზნებისათვის, რისკი ფინანსურ ბაზრებზე ტრანზაქციების განხორციელებისას გაგებული უნდა იქნას, როგორც იმგვარი მოვლენის დადგომის შესაძლებლობა, რომელიც კლიენტისთვის ზარალს გამოიწვევს.
 - a. **პოლიტიკური რისკი** – ბროკერის კლიენტის ფინანსური ზარალის რისკი, რომელიც დაკავშირებულია მსოფლიოში პოლიტიკური ვითარების ცვლილებებთან (ცვლილებები საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში, სანქციების პოლიტიკა, ომი, ემბარგოს დაწესება). ყველაზე რადიკალურმა ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს კონტრაგენტების მიერ თავიანთი ვალდებულებების შესრულებაზე უარის თქმა ან დაგვიანებით შესრულება, ან გარკვეული ქვეყნების რეზიდენტი კლიენტების ტრანზაქციების შეზღუდვა და ასევე შესაძლოა გარკვეული კატეგორიის ინვესტორების ქონების კონფისკაცია ან ნაციონალიზაცია.
 - b. **ეკონომიკური რისკი** – ბროკერის კლიენტის ფინანსური ზარალის რისკი, რომელიც დაკავშირებულია მსოფლიოში ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებთან. კლიენტის მიერ ფინანსური ბაზრის ინსტრუმენტებში სახსრების ინვესტირების პროცესში ნებისმიერი მონაწილე შეიძლება აღმოჩნდეს სიტუაციაში, როდესაც ეკონომიკური მიზეზების გამო ვერ შეძლებს, სათანადოდ შეასრულოს ფასიანი ქაღალდების ემისიების მიმოქცევისა და მომსახურებასთან დაკავშირებული ვალდებულებები ან სხვა ვალდებულებები, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინონ კლიენტის უფლებებზე.

- c. **მოქმედი კანონმდებლობისა და საკანონმდებლო ცვლილებების რისკი (სამართლებრივი რისკი)** – ფინანსური ბაზრის ინსტრუმენტებში ინვესტიციების შედეგად გამოწვეული ზარალის რისკი, რომელიც დაკავშირებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის გამოყენებასთან, საქართველოს მოქმედ საკანონმდებლო და მარეგულირებელ აქტებში ცვლილებების შეტანასთან და/ან ახალი აქტების შემოღებასთან. სამართლებრივი რისკი ასევე მოიცავს ფინანსურ ბაზრებზე ან ფინანსური ბაზრის რომელიმე სექტორში საქმიანობის მარეგულირებელი რეგულაციების არარსებობის გამო გამოწვეულ სავარაუდო ზარალს.
- d. **საგადასახადო კანონმდებლობის რისკი** – ბროკერის კლიენტის ფინანსური ზარალის რისკი, რომელიც დაკავშირებულია საქართველოს მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის გამოყენებასთან, ფინანსურ ბაზრებზე ტრანზაქციების დაბეგვრის არსებული წესის ცვლილებასთან.
კლიენტმა, რომელიც არ არის საქართველოს რეზიდენტი, უნდა გაითვალისწინოს საქართველოს მიერ ხელმოწერილი ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულებების შეწყვეტასთან ან მათში ცვლილების შეტანასთან დაკავშირებული რისკი, რამაც შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს იმ კლიენტის მდგომარეობაზე, რომლის საქმიანობაც ექვემდებარებოდა ამგვარი ხელშეკრულებით რეგულირებას და რომელსაც რაიმე საგადასახადო შეღავათები და პრივილეგიები ჰქონდა აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე.
- e. **სავალუტო რისკი** - ზარალის რისკი, რომელიც შეიძლება წარმოიშვას უცხოური ვალუტის კურსის არახელსაყრელი ცვლილებების გამო.
კლიენტს ფინანსური აქტივებით სავაჭრო ოპერაციების შემთხვევაში შეიძლება დასჭირდეს ვალუტის პირდაპირი და უკუ კონვერტაციის განხორციელება. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული და/ან შეფასებული ინვესტიციები, სავალუტო-გაცვლითი (კონვერტაციის) ოპერაციების მსგავსად, შესაძლოა ექვემდებარებოდეს მნიშვნელოვანი გადაფასების და ცვლილებების რისკს, რაც დაკავშირებულია ამა თუ იმ ვალუტის მაღალი ინფლაციის მაჩვენებელთან და სავალუტო-გაცვლითი კურსის შესაძლო უარყოფით ცვლილებებთან.
ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით კლიენტმა შესაძლოა განიცადოს ზარალი, რომლის ოდენობა შეზღუდული არ არის და შესაბამისი ტრანზაქციის დადების მომენტში სრულად ვერ შეფასდება სავალუტო-გაცვლითი კურსების მოძრაობის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობის გამო.
- f. **სახსრების რეპატრიაციის რისკი** - ბროკერის კლიენტის ფინანსური ზარალის რისკი, რომელიც დაკავშირებულია ბროკერის კლიენტის სახსრების რეპატრიაციასთან.
უცხოელი ინვესტორების თანხების რეპატრიაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მაგრამ არ არსებობს გარანტია იმისა, რომ არ დაწესდება შეზღუდვები ან აკრძალვები ამგვარ რეპატრიაციაზე, ან არ შეიცვლება მისი განხორციელების პროცედურა. ამ გარემოებებმა შეიძლება გამოიწვიოს კლიენტის ზარალი, თუ ეს შეზღუდვები ან აკრძალვები მას შეეხება.
- g. **ფინანსური ბაზრების ინფრასტრუქტურის რისკი** - კლიენტის ფინანსური ზარალის რისკი, რომელიც დაკავშირებულია ფასიანი ქაღალდების არადოკუმენტალური ფორმით მიმოქცევასთან, რომელზე უფლებებიც აღირიცხება დეპოზიტარებში ფასიანი ქაღალდების ანგარიშებზე ელექტრონული ჩანაწერის სახით. ვაჭრობისას ფასიანი ქაღალდებზე უფლებების გადაცემა აღირიცხება უფლებამოსილი დეპოზიტარების/საკლირინგო ბანკების/საბროკერო კომპანიების მიერ. ფასიანი ქაღალდების ტრანზაქციები და მათზე

ანგარიშსწორება ხორციელდება ბაზრის ინფრასტრუქტურის სხვადასხვა მონაწილეთა მიერ ამისათვის გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად. ყველა სხვა სისტემის მსგავსად, ტექნიკური საშუალებები და სისტემები, რომლებიც გამოიყენება ფასიან ქაღალდებზე უფლებების აღრიცხვისათვის, ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული გარიგებების დასადასტურებლად და ანგარიშსწორების მიზნით, ექვემდებარება გაუმართაობას და შეცდომებს. შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოების მიერ უფლებამოსილი ორგანიზაციები, რომლებიც უზრუნველყოფენ ვაჭრობის მონაწილეებს ამ სისტემებზე წვდომით, იხსნიან ამ ტიპის რისკებზე პასუხისმგებლობას მონაწილეებთან შესაბამის შეთანხმებებში, შესაბამისად კლიენტის შესაძლებლობა, აინაზღაუროს ამგვარი გარემოებებით გამოწვეული ზარალი, შეზღუდულია.

- h. საბანკო სისტემის რისკი** - ბროკერის კლიენტის ფინანსური ზარალის რისკი, რომელიც დაკავშირებულია ბროკერის კლიენტის ტრანზაქციებთან დაკავშირებული გადახდების დაგვიანებასთან და/ან შეუსრულებლობასთან.

მხარეთა ანგარიშსწორებები ერთმანეთს შორის, ისევე როგორც ხელშეკრულების დებულებების შესრულებისას წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობის სხვა სუბიექტებთან, ხორციელდება ბროკერის და კლიენტის მომსახურე ბანკების და სხვა საკრედიტო ინსტიტუტების მეშვეობით, რომლებიც წარმოადგენენ ფულადი ანგარიშსწორების სისტემის შემადგენელ ელემენტებს. შედეგად, არსებობს გადახდების დაგვიანებით შესრულების ან/და შეუსრულებლობის რისკი, რამაც შეიძლება გამოიწვიოს როგორც ანგარიშსწორების ვადების ზრდა, ასევე იმ სახსრების შესაძლო დაკარგვა, რომლებიც ასეთი გადახდების ობიექტს წარმოადგენს.

- i. ფინანსურ ბაზრებზე არსებული ინფორმაციის გამოყენების რისკი** - ფინანსურ ბაზრებზე არსებული კორპორატიული ინფორმაციის გამოყენებასთან დაკავშირებული კლიენტის ფინანსური ზარალის რისკი.

ბროკერის მიერ კლიენტებისთვის მომსახურების გაწევისას გამოყენებული ინფორმაცია სანდო წყაროებიდან მომდინარეობს, თუმცა, ბროკერი ვერ იქნება პასუხისმგებელი მიღებული ინფორმაციის სიზუსტესა და სანდოობაზე. შესაბამისად, არსებობს არასანდო ინფორმაციის მიღების რისკი, რომლის გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს მხარეთა ინტერესების ზიანი.

მხარეები უნდა აცნობიერებდნენ, რომ მათთვის საჭირო ინფორმაცია შეიძლება მიღებული იქნას გარკვეული დაყოვნებით, რამაც შეიძლება ამ ინფორმაციის საფუძველზე გარემოებების არასწორი შეფასება ან მათი შეფასების შეუძლებლობა გამოიწვიოს. შესაძლებელია ადრე მოწოდებულ ინფორმაცია შეიცვალოს, გადაისინჯოს ან დაზუსტდეს, რამაც შეიძლება მხარეების მიერ იმ გარემოებების იძულებითი გადაფასება გამოიწვიოს, რომელთა შეფასებაც სწორედ ასეთ ინფორმაციას ეფუძნებოდა.

- j. საინვესტიციო შეზღუდვების რისკი** - ბროკერის კლიენტის ფინანსური ზარალის რისკი, რომელიც დაკავშირებულია ფასიანი ქაღალდების მიმოქცევის შეზღუდვებთან.

მსოფლიოს ყველა ქვეყანაში დაწესებულია მოქმედი კანონმდებლობით ან ფასიანი ქაღალდების ემიტენტების შიდა დოკუმენტებით დადგენილი საინვესტიციო შეზღუდვები, რომლებიც მიმართულია კონკურენციის შენარჩუნებაზე (მონოპოლისტური საქმიანობის შეზღუდვაზე), გარკვეული კატეგორიის ინვესტიციების უფლებების დაცვაზე და კომპანიების კაპიტალში უცხოური მონაწილეობის კონტროლის დამყარებაზე. ასეთი შეზღუდვები შეიძლება წარმოადგენდეს მკაცრ აკრძალვებს ან გარკვეული პროცედურების განხორციელების ან/და შესაბამისი ნებართვების მოპოვების აუცილებლობას ამგვარი შეზღუდვების დასაძლევად.

თავის ქმედებებში კლიენტმა უნდა გაითვალისწინოს ასეთი შეზღუდვების არსებობის შესაძლებლობა, ხოლო ბროკერი კლიენტს შეატყობინებს მისთვის ცნობილი ყველა შეზღუდვის შესახებ, რამაც მხარეთათვის უარყოფითი შედეგები შეიძლება გამოიწვიოს. ამგვარ შედეგებს შეიძლება მიეკუთვნებოდეს აღნიშნული შეზღუდვების დარღვევით ფასიანი ქაღალდების შემძენისთვის უარის თქმა ფასიანი ქაღალდების მფლობელის სტატუსის აღიარებაზე ამ სტატუსის ყველა უფლებებზე, ასევე დადებული ტრანზაქციის ბათილად ცნობა და ამგვარი ბათილად ცნობის შედეგები (როგორც წესი, ტრანზაქციის ფარგლებში მიღებულის ორმაგად დაბრუნება).

- k. მინორიტარი კლიენტის რისკი** - კლიენტის ფინანსური ზარალის რისკი, რომელიც დაკავშირებულია იმგვარი კლიენტის საკმაოდ სუსტ დაცულობასთან, რომელსაც უმნიშვნელო წილი გააჩნია ემიტენტის ფასიან ქაღალდებში.

ფასიანი ქაღალდების მფლობელთა უფლებები რეგულირდება ემიტენტის რეგისტრაციის ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობით, ემიტენტის სადამფუძნებლო დოკუმენტებით და გარკვეული სახის ფასიანი ქაღალდების ემისიის პროსპექტებით. მაგრამ ზემოთ ჩამოთვლილ დოკუმენტებში გათვალისწინებული უფლებების დაცვა შეიძლება შეზღუდული იყოს, რაც ფასიანი ქაღალდების მფლობელებს საშუალებას ვერ აძლევს, სრული ინფორმაცია ჰქონდეთ ემიტენტების სტატუსის, ფასიანი ქაღალდების მფლობელების და სხვა საკითხების შესახებ, რაც შეიძლება კლიენტისთვის საინტერესო იყოს საინვესტიციო საქმიანობის ან ფასიანი ქაღალდების მფლობელის უფლებათა განხორციელების მიზნებისთვის.

- l. ლიკვიდურობის რისკი** - რისკი, რომელიც დაკავშირებულია ფინანსური აქტივების გაყიდვისას ზარალის მიღების შესაძლებლობასთან მისი ხარისხის შეფასების ცვლილების გამო.

ზოგიერთი სახის ფასიანი ქაღალდების ბაზრის ლიკვიდურობა შეზღუდულია და, შესაბამისად, შეიძლება წარმოიშვას სიტუაცია, რა დროსაც შეუძლებელი იქნება კლიენტის შესაბამისი დავალების სრულად ან თუნდაც ნაწილობრივ შესრულება. ამრიგად, კლიენტის მიერ განხორციელებული ყველა ინვესტიცია ვერ იქნება ადვილად ლიკვიდირებული (გაყიდული საჭირო მოცულობით და გონივრულ ვადებში ფასის დანაკარგის გარეშე) და შესაძლოა გართულდეს მათი შეფასება. გარდა ამისა, კლიენტის მიერ დავალების ამა თუ იმ ტიპის ან/და მისი სხვა ელემენტების არჩევანი ზრდის ზოგიერთ რისკს და ამცირებს სხვებს (მაგალითად, ლიმიტირებული დავალების არჩევა ზრდის მისი შეუსრულებლობის რისკს ბაზრის პირობების შესაძლო არახელსაყრელი ცვლილებების გამო, მაგრამ ამავე დროს ზღუდავს ფასის რისკს).

- m. საოპერაციო რისკი** - პირდაპირი ან არაპირდაპირი ზარალის რისკი საინფორმაციო, ელექტრონული და სხვა სისტემების გაუმართაობის გამო, ან დაკავშირებული ბაზრის არასრულყოფილ ინფრასტრუქტურასთან, მათ შორის საოპერაციო ტექნოლოგიებთან, მართვის პროცედურებთან, აღრიცხვასთან და კონტროლთან, ან გამოწვეული პერსონალის ქმედებების (უმოქმედობის) გამო. საოპერაციო რისკების განსაკუთრებულ ჯგუფს განეკუთვნება ინფორმაციული რისკები, რომლებიც ბოლო დროს განსაკუთრებით გამწვავდა და ტექნიკურ, ტექნოლოგიურ და საკადრო რისკების კომპონენტებს მოიცავს.

ბირჟაზე ვაჭრობის ტრადიციული (გამყიდველსა და მყიდველს შორის უშუალო კონტაქტით) და ელექტრონული საშუალებების უმრავლესობა ხორციელდება ბრძანებების გაგზავნის, მათი შესრულების, შემოწმების, რეგისტრაციისა და ტრანზაქციების ანგარიშსწორების გამოთვლითი (კომპიუტერული) სისტემების მხარდაჭერით. როგორც ყველა ტექნიკური საშუალება და სისტემა, ისინი ექვემდებარებიან დროებითი გაუმართაობის და ოპერაციული შეცდომების რისკებს. ბროკერის კლიენტის შესაძლებლობა, აინაზღაუროს გარკვეული

ზიანი შეიძლება დაექვემდებაროს ასეთი სისტემების გამყიდველების, ბირჟების, საკლირინგო სახლებისა და/ან მათი წევრი კომპანიების მიერ დაწესებულ პასუხისმგებლობის შეზღუდვას. ასეთი შეზღუდვები შეიძლება განსხვავდებოდეს, ამიტომ ამ კუთხით სრული ინფორმაციის მისაღებად კლიენტი უნდა დაუკავშირდეს კონკრეტულ კომპანიებს, რომელთა მეშვეობითაც იგი მუშაობს.

- n. საკრედიტო რისკი** - კლიენტის ზარალის რისკი გარიგების პირობების შესაბამისად მეორე მხარის მიერ თავისი ვალდებულებების შეუსრულებლობის, დაგვიანებული ან არასრული (კონტრაგენტის/ემიტენტის/სხვა მხარის გადახდისუუნარობის ან გაკოტრების ჩათვლით) შესრულების გამო.
ასეთ სიტუაციაში კლიენტს შეეძლება, მოითხოვოს გარიგების იძულების წესით შესრულება, თუმცა ამას დამატებითი დრო და ფინანსური ხარჯები დასჭირდება.
- o. საპროცენტო რისკი ან საპროცენტო განაკვეთის რისკი** - ფინანსური ზარალის (დანაკარგის) რისკი (შესაძლებლობა) საპროცენტო განაკვეთების არახელსაყრელი ცვლილებების გამო. საპროცენტო რისკი შეიძლება გამოწვეული იყოს მოთხოვნების დაფარვის (ანაზღაურების) მოთხოვნის და ვალდებულებების პირობებს შორის შეუსაბამობით, ასევე მოთხოვნების და ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთების არათანაბარი ცვლილებით.
- p. დაკარგული ფინანსური მოგების რისკი** - ტრანზაქციის შეუსრულებლობის ან სამეწარმეო საქმიანობის შეწყვეტის შედეგად (ტრანზაქციის კონტრაგენტი, ემიტენტი, და ა.შ.) გამოწვეული არაპირდაპირი (თანმხლები) ფინანსური ზიანის (მიუღებელი მოგების) რისკი.
- q. ელექტრონული ოპერაციების განხორციელების რისკი** - კონკრეტული ელექტრონული სავაჭრო სისტემის გამოყენებასთან დაკავშირებით წარმოქმნილი ზარალის რისკი.
ამა თუ იმ ელექტრონული სავაჭრო სისტემით განხორციელებული ოპერაციები (ტრანზაქციები) შეიძლება განსხვავდებოდეს არა მხოლოდ ტრადიციული მეთოდებით განხორციელებული ოპერაციებისგან (ანუ გამყიდველსა და მყიდველს, კლიენტსა და ბროკერს შორის პირდაპირი კონტაქტით), არამედ სხვა ელექტრონული სავაჭრო სისტემებით განხორციელებული ოპერაციებისგანაც. თუ კლიენტი გარკვეულ ტრანზაქციას ახორციელებს რომელიმე ელექტრონული სავაჭრო სისტემის საშუალებით, იგი ექვემდებარება ამ სისტემის მუშაობასთან, მათ შორის მის პროგრამულ უზრუნველყოფასთან და აპარატურულ საშუალებებთან დაკავშირებულ რისკებს. ელექტრონული სისტემის მუშაობის ნებისმიერი გაუმართაობის შედეგი შეიძლება იყოს ბროკერის კლიენტის რომელიმე დავალების არასწორად შესრულება ან საერთოდ არ შესრულება.
- r. ელექტრონული დოკუმენტბრუნვის რისკი** - ბროკერსა და კლიენტს შორის ელექტრონული ფოსტის სისტემების გამოყენებით ელექტრონული ფაილების მეშვეობით შეტყობინებების გაცვლით გამოწვეული შესაძლო ზარალის რისკი.
დაუცველი საკომუნიკაციო არხების გამოყენებამ, როგორცაა ელექტრონული ფოსტა, შეიძლება გამოიწვიოს მესამე მხარის არავტორიზებული წვდომა მიღებულ/გადაცემულ ინფორმაციაზე და, შესაბამისად, გადაცემული/მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის დარღვევა. ამ გარემოებებმა შეიძლება გამოიწვიოს კლიენტის ზარალი, რომელიც დაკავშირებულია ტრანზაქციების, კლიენტის მიერ განხორციელებული ოპერაციების და კლიენტის/მისი აქტივების შესახებ მესამე მხარის მიერ მიღებული ინფორმაციის უკანონო გამოყენებასთან.

- s. **საკომისიოს და სხვა მოსაკრებლების დარიცხვის რისკი** - კლიენტის ფინანსური ზარალის რისკი, რომელიც დაკავშირებულია ფინანსური ბაზრის ინსტრუმენტებით ოპერაციების განხორციელებასთან დაკავშირებული მოსაკრებლების შესახებ კლიენტის სრულ ან ნაწილობრივ არაინფორმირებულებასთან.
ამა თუ იმ ოპერაციის დაწყებამდე, ბროკერის კლიენტმა უნდა მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა მკაფიო წარმოდგენა ჰქონდეს ყველა საკომისიოსა და სხვა მოსაკრებელზე, რომელიც კლიენტს დაერიცხება. ასეთი მოსაკრებლების ოდენობა შეიძლება გამოიქვეყნოს კლიენტის წმინდა მოგებიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან გაზარდოს კლიენტის ხარჯები.
- t. **საინვესტიციო მიზნების მიღწევის რისკი** - ზარალის რისკი, რომელიც წარმოიქმნება ბროკერის კლიენტის მიერ საინვესტიციო მიზნების მიუღწევლობის გამო.
არ არსებობს გარანტია იმისა, რომ მიღწეული იქნება კაპიტალის შენარჩუნება და გაზრდა, რისი მიღწევაც კლიენტს სურს. ბროკერის კლიენტმა შეიძლება დაკარგოს გარკვეულ ფინანსურ აქტივებში ჩადებული კაპიტალი მთლიანად ან მისი ნაწილი. კლიენტი სრულად იცნობს ამ პუნქტის მნიშვნელობით არსებულ რისკებს, დამოუკიდებლად ირჩევს ფინანსური აქტივებით ტრანზაქციების განხორციელებასთან დაკავშირებული დავალებების ტიპს და პარამეტრებს, რომლებიც საუკეთესოდ შეესაბამება მის მიზნებსა და საინვესტიციო ამოცანებს და მხოლოდ ის არის პასუხისმგებელი თავის არჩევანზე.
- ii. **მესამე მხარის ქმედებებთან/უმოქმედობებთან დაკავშირებული რისკები** - ფინანსური ბაზრების ფუნქციონირება მოიცავს ფასიანი ქაღალდების ბაზრის პროფესიონალი მონაწილეების და სხვა იურიდიული პირების საქმიანობას, რომლებიც ბროკერთან მიმართებაში არიან მესამე მხარეები, თუმცა, ტრანზაქციებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება შეუძლებელი იყოს ასეთი მესამე მხარის მიერ გარკვეული სამართლებრივი და ფაქტობრივი ქმედებების განხორციელების გარეშე (მაგალითად, ბანკის, რეგისტრატორების, დეპოზიტარების და სხვა პირების ქმედება/უმოქმედობა). მითითებულ შემთხვევებში, არსებობს გარიგებით ნაკისრი ვალდებულებების დროული შესრულების შეუძლებლობის რისკი.
- v. **მარჟინალურ ვაჭრობასთან და მოკლე გაყიდვებთან (Short Selling) დაკავშირებული რისკები** - მარჟინალური ვაჭრობის ან მოკლე გაყიდვების (Short Selling) განხორციელების შედეგად, რომლებიც მაღალი რისკის მქონე ოპერაციებს წარმოადგენს, შესაძლებელია კლიენტის ვალდებულებების ზრდა ბროკერის წინაშე. აღნიშნული რისკების ზრდა განპირობებულია იმით, რომ მოზიდული სახსრების (ფულადი სახსრები და/ან ფასიანი ქაღალდები) ოდენობა აღემატება კლიენტის საკუთარ სახსრებს და ბაზრის ფასების კლიენტისთვის არასახარბიელო ცვლილების შემთხვევაში, ზარალის ოდენობა შეიძლება გაუტოლდეს ან გადააჭარბოს მარჟის დონის გამოსათვლელად გამოყენებულ თანხას, რაც იწვევს კლიენტის მიერ ინვესტირებული სახსრების ნაწილობრივ ან სრულ დაკარგვას.
მარჟინალური ვაჭრობის განხორციელებისას კლიენტი იღებს შემდეგ დამატებით რისკებს:
- მარჟინალური ვალდებულებების ზრდის რისკს, მათ შორის **Margin Call** და **Margin Close-Out** პირობების დადგომას;
 - ფასების არასახარბიელო ცვლილების შემთხვევაში პოზიციების იძულებითი დახურვის რისკს;
 - ტექნოლოგიური, ლიკვიდურობისა და ინფრასტრუქტურული ფაქტორების გამო პოზიციის მოსალოდნელ ფასად დახურვის შეუძლებლობას.

მოკლე გაყიდვის (Short Selling) განხორციელებისას კლიენტი იღებს ფასიანი ქაღალდების ფასის ზრდის რისკს. კლიენტი ვალდებულია დააბრუნოს ნასესხები ფასიანი ქაღალდები

მათი მიმდინარე საბაზრო ღირებულების მიუხედავად, რომელიც შეიძლება მნიშვნელოვნად აღემატებოდეს მათი თავდაპირველი გაყიდვის ფასს.

კლიენტი ვალდებულია მუდმივად აკონტროლოს საკუთარი ანგარიშის ძირითადი პარამეტრები, მათ შორის Equity, Net Liquidation Value (NLV), გამოყენებული მარჟა (Used Margin) და Margin Level, და დროულად შეასრულოს Margin Call-ის მოთხოვნები. კლიენტი აცნობიერებს, რომ ბროკერის მხრიდან შეტყობინების არარსებობა არ ათავისუფლებს მას მარჟის მოთხოვნების შესრულების ვალდებულებისგან.

ბაზრის არასახარბიელო მოძრაობის შემთხვევაში, ბროკერის შიდა დოკუმენტებით განსაზღვრული პირობების არსებობისას, კლიენტის პოზიციები შეიძლება დაექვემდებაროს იძულებითი ლიკვიდაციას, რაც შეიძლება გამოიწვიოს ინვესტირებული სახსრების დაკარგვა ან ზარალი, რომელიც აღემატება ინვესტირებული თანხის ოდენობას.

w. დერივატივების ბაზარზე ტრანზაქციის განხორციელების რისკი - ზარალის, რისკი, რომელიც წარმოიშობა დერივატივებით (ფიუჩერსები და ოფციონები) ოპერაციების განხორციელებისას.

დერივატივების ბაზარზე ტრანზაქციების განხორციელებისას კლიენტმა უნდა გაითვალისწინოს შემდეგი:

სავაჭრო სისტემების საანგარიშსწორებო და კლირინგ სახლები ახორციელებენ ცვლადი მარჟის დღიურ გამოთვლას ვაჭრობის შედეგების საფუძველზე დადგენილი კოტირებული ფასების შესაბამისად. ამასთან დაკავშირებით, ბროკერის კლიენტმა შეიძლება დაკარგოს უზრუნველყოფის სახით შეტანილი მთელი თავისი სახსრები შედარებით მოკლე დროში. მეორე მხრივ, ბროკერის კლიენტის პოზიციის შესანარჩუნებლად, მას შეიძლება მოკლე დროში მოეთხოვებოდეს თანხების შეტანა მნიშვნელოვანი ოდენობის ცვლადი მარჟის მიხედვით ზარალის დასაფარად. თუ ბროკერის კლიენტი ვერ განახორციელებს ამ დამატებითი თანხების შეტანას მითითებულ ვადაში, ბროკერის კლიენტის პოზიცია შეიძლება იძულებით დაიხუროს და მან განიცადოს ზარალი და ამის შედეგად გამოწვეულ სახსრების ნებისმიერ დეფიციტზე ბროკერის კლიენტი იქნება პასუხისმგებელი.

გარკვეულ საბაზრო პირობებში, ბროკერის კლიენტს შეიძლება გაუჭირდეს ან მისთვის შეუძლებელი გახდეს გახსნილი პოზიციის დახურვა. ეს შეიძლება მოხდეს, მაგალითად, როდესაც ვაჭრობა შეჩერებულია ან შეზღუდულია ფასების სწრაფი მოძრაობის გამო.

ბროკერის კლიენტის ზარალის შეზღუდვისკენ მიმართული დავალებები სულაც არ ზღუდავს ბროკერის კლიენტის ზარალს მოსალოდნელ დონემდე, ვინაიდან არსებულ საბაზრო ვითარებაში შესაძლოა შეუძლებელი იყოს ასეთი დავალების შესრულება შეთანხმებულ ფასად.

წინამდებარით ბროკერი აფრთხილებს კლიენტს, რომ გარკვეულ შემთხვევებში ბირჟაზე ვაჭრობის მონაწილეებისა და მათი კლიენტების მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის რისკის მინიმუმამდე დაყვანის მიზნით:

- სავაჭრო სისტემას უფლება აქვს, იძულებით დახუროს მონაწილეთა და მათი კლიენტების პოზიციები, შეაჩეროს ან შეზღუდოს ვაჭრობა;
- ბროკერს უფლება აქვს, იძულებით დახუროს კლიენტისა და მისი კლიენტების პოზიციები;
- ბროკერს უფლება აქვს, მისცეს დავალება სავაჭრო სისტემას კლიენტების პოზიციების იძულებითი დახურვის შესახებ.

ამ შემთხვევაში, ბროკერის კლიენტმა შეიძლება მიიღოს ნაკლები მოგება ან განიცადოს ზარალი. ამ შემთხვევაში, ბროკერი არ აუნაზღაურებს კლიენტს მიუღებელ მოგებას ან ზარალს.

აღნიშნულით ბროკერი ამახვილებს კლიენტის ყურადღებას იმ ფაქტზე, რომ ფიუჩერსების და ოფციონების კონტრაქტების ბაზარზე კვოტები შეიძლება მნიშვნელოვნად შეიცვალოს

როგორც დღის განმავლობაში, ასევე ერთი სავაჭრო დღიდან მეორემდე. ამის გათვალისწინებით, ყველა საკამათო საკითხი, რომელიც წარმოიქმნება ფიუჩერსების და ოფციონების კონტრაქტებით ვაჭრობის დროს, დაუყოვნებლივ უნდა გადაწყდეს.

ყოველივე ზემოაღნიშნული მიზნად ისახავს, მისცეს რეკომენდაცია კლიენტს, რომ გულდასმით განიხილოს, არის თუ არა კლიენტისთვის მისაღები, კლიენტის საინვესტიციო მიზნებისა და ფინანსური შესაძლებლობების გათვალისწინებით, ფინანსურ ბაზარზე ინვესტირებასთან დაკავშირებული რისკები. ეს შეტყობინება არ ისახავს მიზნად, კლიენტს ხელი შეუშალოს ასეთი ტრანზაქციების განხორციელებაში, იგი გამიზნულია იმისათვის, რომ დაეხმაროს კლიენტს მათ შეფასებაში. კლიენტმა უნდა უზრუნველყოს, რომ ზემოაღნიშნული ინფორმაცია მისთვის გასაგებია და საჭიროების შემთხვევაში მიიღოს განმარტება რიონი კაპიტალისგან ან შესაბამის საკითხებში სპეციალიზირებული კონსულტანტისგან.